

1. ხედვა: რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?

გიორგი თარგამაძის, როგორც პრეზიდენტის უპირველესი ამოცანები იქნება:

- ქვეყნის გამთლიანება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საქართველოს ინტეგრირება ევროპულ სტრუქტურებში;
- ეკონომიკური განვითარება და სოციალური კეთილდღეობის მიღწევა;
- განათლების მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მართლმადიდებელი ეკლესიისათვის კონსტიტუციურად მინიჭებული განსაკუთრებული ადგილის გარანტირება და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა;
- საქართველოს მუდმივი ღირებულებების და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და მომავალი თაობებისათვის უწყვეტად და უცვლელად გადაცემის ხელშეწყობა.

2. განათლება: როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

იმ ღირებულებათა შენარჩუნება-განვითარება, რომელთაც მომავალში ქართველი ხალხის კეთილდღეობა და უსაფრთხოება უნდა დაეფუძნოს, მხოლოდ განათლების სამართლიანი და ქმედითი სისტემის წყალობითაა შესაძლებელი. ამ კუთხით უმთავრესი პრობლემა განათლების სოციალური პოლიტიკაა, ამიტომაც, ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვების შემთხვევაში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- უნდა გაიზარდოს სკოლების ვაუჩერული დაფინანსება და მოხდეს პედაგოგების 900 ლარიანი საბაზისო ხელფასით, პორტატული კომპიუტერებით და სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- ყველა სოფელში უნდა იყოს სკოლა;
- უნდა გაძლიერდეს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო მხარდაჭერა და მოხდეს მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების სისტემის სრულყოფა (სამაგისტრო პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერა, არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის კადრების მომზადების სპეციალური პროგრამის ამოქმედება);
- უნდა დაიწყოს მართლმადიდებლური კულტურის ისტორიის საგნის სწავლება სკოლებში;
- საატესტაციო გამოცდების ჩაბარებით და მინიმალური კომპეტენციის დაკმაყოფილებით უნდა დაფინანსდეს სტუდენტთა სწავლის საფასურის მინიმუმ 70%, ხოლო მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, მაღალმთიანი რეგიონების სტუდენტები 100 %-ით დაფინანსდებიან;
- შეიქმნება სტუდენტური სახელმძღვანელოების ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც ყოველწლიურად ითარგმნება ათასზე მეტი სასწავლო ლიტერატურა,

განთავსდება სპეციალურ საიტზე და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ;

- სწავლება შეჩერებულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ გამოცდების ჩაბარების უფლება და გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ექნებათ სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- სკოლამდელი აღზრდის სისტემა უნდა დაუბრუნდეს განათლების სამინისტროს და უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე;
- სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებს უნდა მიენიჭოთ პედაგოგის სტატუსი;
- უნდა გაიზარდოს სახელობო სასწავლებლების დაფინანსება და აღდგეს უკანასკნელ წლებში დახურული სასწავლებლები.

3. გადასახადები: *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

ჩვენი პრინციპია სამართლიანი გადასახადები - ჩვენ გადავიხდით უფრო ნაკლებს უფრო ბევრნი - უნდა ამოქმედდეს სოციალურად სამართლიანი პროგრესული დაბეგვრის რეჟიმი. მოქმედი საშემოსავლო გადასახადი ოცი პროცენტის ნაცვლად უნდა იყოს 10-20 პროცენტის ფარგლებში. ასევე, უნდა გაუქმდეს ქონების გადასახადი, თუმცა, საშემოსავლო გადასახადს დაემატოს +5 პროცენტი „მდიდრების გადასახადი“ იმ ადამიანებისათვის, რომელთა წლიური შემოსავალი 100 000 ლარს აღემატება.

ჩვენი მიზანია, არანაირი გადასახადით არ იბეგრებოდეს მცირე ბიზნესი - 2020 წლის 1 იანვრამდე მცირე ბიზნესი არანაირი გადასახადით არ უნდა იბეგრებოდეს 100 000 ლარაზე ბიზნესის ფარგლებში. ამ დროს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა საქმიანობის სფეროსა და დაქირავებით დასაქმებულებს. ამასთან, მცირე ბიზნესი შეუფერხებლად უნდა სარგებლობდეს ყველა საგადასახადო დოკუმენტით. პრინციპი უნდა იყოს: აღირიცხება, მაგრამ არ იბეგრება. 100 000 – 200 000 ლარამდე მცირე ბიზნესი პროგრესული დაბეგვრის რეჟიმში მოექცევა (მოგების გადასახადი 5-15 პროცენტი) და მხოლოდ 200 000 ლარის შემდგომ დაუბრუნდება ქვეყანაში მოქმედ დაბეგვრის სრულფასოვან რეჟიმს. აღნიშნული მიდგომით უნდა შეიქმნას ახალი შესაძლებლობა ბიზნესისათვის.

4. ეკონომიკა: *როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?*

ჩვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში პრიორიტეტული მიმართულებებია:

- საბიუჯეტო ხარჯების რაციონალიზაცია;

- საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით - პროგრესული გადასახადებისა და დაუბეგრავი მინიმუმის ამოქმედება;
- კონკურენციის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა კონკრეტული საგადასახადო ინიციატივით;
- ექსპორტის სახელმწიფო წახალისება;
- თავისუფალი ბიზნესის უკეთესი დაცვის მექანიზმების ფორმირება/გამლიერება;
- მიზობრივი იაფი სესხების უზრუნველყოფა მცირე ბიზნესისთვის;
- სამართლიანი, დაბალი ტარიფების ფორმირება.

5. დასაქმება: თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

საქართველოში სამუშაო ძალა 2 მილიონამდე ადამიანით განისაზღვრება, აქედან ოფიციალური სტატისტიკით დაქირავებით დასაქმებულთა მაჩვენებელი 650 ათასამდეა. მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყანაში თვითდასაქმებულია, ხოლო მხოლოდ 300 ათასი ადამიანი ითვლება უმუშევრად. ჩვენ არ ვეთანხმებით ამგვარ ფორმულირებას, რადგან მიგვაჩნია, რომ მილიონი თვითდასაქმებულიდან უმრავლესობა რეალურად უმუშევარია. ჩვენი სოფლის მეურნეობის კონცეფცია, წვრილი საგლეხო მეურნეობიდან მსხვილ ფერმერულ მეურნეობაზე გადასვლას გულისხმობს. სახელმწიფომ უნდა წახალისოს კოოპერაციები, საგადასახადო შეღავათებისა და ხელმისაწვდომი მიზნობრივი ფინანსური რესურსების ჩათვლით. ამ პროგრამის განხორციელების შემთხვევაში შედეგად მილიონი თვითდასაქმებულიდან 4 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 100 000 ადამიანი დემატება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობას.

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის და ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნეს კომპანიების მიზნობრივი მხარდაჭერა. 100 000 ლარამდე ბრუნვის მქონე მცირე ბიზნესი უნდა გათავისუფლდეს გადასახადებისგან 2020 წლის 1 იანვრამდე პრინციპით - აღირიცხება მაგრამ არ იბეგრება. ექსპორტის წახალისების მიზნით აუცილებელია ექსპორტზე წასული პროდუქციის დაზღვევა სახელმწიფოს მიერ.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის გადამწყვეტია სწორი სატარიფო პოლიტიკა ენერგომატარებლებზე. გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ ელექტროენერჯის საგამანაწილო კომპანიების (თელასი, ენერგოპრო ჯორჯია) გამოსყიდვა. ამასთან სახელმწიფო უნდა გახდეს მნიშვნელოვანი ინვესტორი მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობისას და უნდა გაუძღვას ის საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ახლადამენებული ჰესების ტარიფის დერეგულირებას გულისხმობს. ელექტროენერჯიაზე და გაზზე ტარიფების შემცირება თავისთავად ნიშნავს საქართველოში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ქართულსავე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას. პროდუქციის თვითღირებულების 5-8% შემცირების შემთხვევაში, უახლოეს 3-4

წელიწადში გააორმაგებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და დამატებით ყოველწლიურად 50 000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის.

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალღდეს მისი ხარისხი?*

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ჩამოყალიბდეს სამედიცინო დახმარების მიწოდებისა და მართვის ახალი, ოპტიმიზირებული, გამჭვირვალე და ღია სისტემა, სადაც რაციონალურად იქნება გამოყენებული არსებული ფინანსური სახსრები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესიონალი კადრები.

ჯანდაცვის ახალი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილია მოხდეს საქართველოს მთელი მოსახლეობის გამიჯვნა კატეგორიებად, განხორციელდეს ე.წ. სუბსიდირების პრინციპი: სახლმწიფო სრულად ეხმარება მათ, ვისაც თვითონ არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჯანმრთელობა და ამავე დროს, ხელს უწყობს დანარჩენ მოსახლეობას სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობაში. შესაბამისად, გამოიყოფა მოსახლეობის ორი ძირითადი ჯგუფი:

- პირველი ჯგუფში გაერთიანდება ადამიანები, რომლებსაც ასაკის, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი ჯანმრთელობა.
- მეორე ჯგუფი გააერთიანებს საქართველოს ყველა დანარჩენ მოქალაქეს (მათ შორის დასაქმებული, თვითდასაქმებული) ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება განხორციელდება როგორც პროგრამული დაფინანსების წესით, ასევე კერძო სადაზღვევო სექტორის მეშვეობით.

საქართველოს მთელი მოსახლეობა, ორივე ჯგუფი, მიიღებს მომსახურების უნივერსალურ საბაზისო პაკეტს, რომლის მიწოდება განხორციელდება პროგრამული დაფინანსების გზით.

უნივერსალური საბაზისო პაკეტის ზევით, პირველი ჯგუფი (ბავშვები, პენსიონერები, ინვალიდები, უმუშევრები, ომის ვეტერანები, სტუდენტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლები), ასევე მიიღებს დამატებით პაკეტს, რომელიც მოიცავს აუცილებელ სადიაგნოსტიკო, სამკურნალო-სამედიცინო, ამბულატორიულ, სტაციონარულ გადაუდებელ (დამატებით) და გეგმიურ დახმარებას, აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რომელსაც არ ითვალისწინებს უნივერსალური საბაზისო პაკეტს.

7. სოციალური უსაფრთხოება: *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

სოციალური უსაფრთხოების შექმნის მიზნით აუცილებელია სახელმწიფომ ახალი მეთოდოლოგიით, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და რეალურ

მონაცემებზე დაყრდნობით გამოიანგარიშოს სოციალური დაცვის სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანი, საორიენტაციო მონაცემი – საარსებო მინიმუმი.

უნდა შეიცვალოს კანონი „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ და ხელისუფლებამ თანხის საბოლოო ოდენობის დათვლისას ორიენტირად უნდა აიღოს სოციალური ნორმტივი და არა ფაქტობრივი მონაცემები. კერძოდ, სასურსათო კალათის კალორიულობა 2200-დან 2500 კილოკალორიამდე უნდა გაიზარდოს, სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდება კი არანაკლებ 50:50ზე უნდა განისაზღვროს.

ამ ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოანგარიშებული საარსებო მინიმუმი საქართველოში დაახლოებით 250 ლარია.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სოციალურ სფეროში უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- მინიმალური ასაკობრივი პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარჩენალდაკარგულების, პოლიტრეპრესირებულების და ყველა სხვა კატეგორიის მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრება;
- დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება და საარსებო მინიმუმთან გათანაბრება;
- უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა და შესაბამისი შემწეობის შემოღება;
- მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრა და შესაბამისი შემწეობის შემოღება;
- კომუნალური ტარიფების შემცირება;
- ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერების პენსიების გადაანგარიშება;
- შიდა ვალების გასტუმრება - კოოპერატიული ბინათმშენებლობების პროგრამა, 1998-2004 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების გასტუმრება, რეგრესის პენსიონერების და წარმოებით დაზარალებულთა კომპენსაციის გაცემა.

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: *თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?*

როგორც ქრისტიან-დემოკრატი პრეზიდენტობის კანდიდატი, მხარს ვუჭერთ თვითმმართველობის სუბსიდიარობის პრინციპზე დაფუძნებას. ქრისტიანდემოკრატიები არ ვიზიარებთ ქართული ოცნების ოპტიმიზმს, რომ თვითმმართველობის რეფორმა შესაძლოა განხორციელდეს 1-2 წელიწადში.

რეფორმა უნდა განხორციელდეს 8 წლის განმავლობაში. პირველ ეტაპზე (4 წელი), სოფლის (თემის) დონეზე უნდა შეიქმნას კვაზი-თვითმმართველობა საკუთარი ბიუჯეტის გარეშე, თუმცა მუნიციპალიტეტის მხრიდან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობით. სოფლის გამგებელი უნდა აირჩეოდეს პირდაპირ და წარმოადგენდეს სოფელს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობისას. ასევე, უნდა გაიზარდოს თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა 12-13 მდე. მათი მერები, ასევე, უნდა აირჩეს პირდაპირი წესით.

მუნიციპალური საკრებულოები აირჩევა პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი პროპორციული სიებით.

პირველი ეტაპის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის მომზადება (ტერიტორიების განსაზღვრა, ადმინისტრაციული ცენტრების განსაზღვრა, ინფრასტრუქტურის მომზადება, საბიუჯეტო მოწყობა) თვითმმართველობის მოსახლეობასთან უფრო ახლოს დაყვანა, სულ 250-მდე მუნიციპალიტეტი და ორდონიანი თვითმმართველობის შემოღება. მეორე დონეზე უნდა შეიქმნას ასოცირებული საკრებულოები, რომლის წევრებსაც დააკომპლექტებენ პირველი დონის თვითმმართველობის საკრებულოები.

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებელი პირობაა ქვეყნის დეოკუპაცია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია რუსეთთან მოლაპარაკების განახლება სარკოზი-მედვედევის 7 პუნქტიანი გეგმის შესრულების მოთხოვნით. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება არაღიარების პოლიტიკის შესანარჩუნებლად.

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის კუთხით მნიშვნელოვანია ის საფრთხეები, რომელიც საქართველოს და რუსეთს ერთნაირად ემუქრება რელიგიური ექსტრემიზმისა და ფუნდამენტალიზმის სახით, ამიტომ კავკასიაში ამ მიმართულებით თანამშრომლობის პერსპექტიულია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის პროცესის დაწყების პარალელურად. რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ჩრიდოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფაქტორი უნდა განიხილოს არა საფრთხედ, არამედ შემაკავებელ ფაქტორად, ისევე როგორც ეს ავღანეთში ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში დეზინტეგრაციული პროცესები თავად რუსეთის ფედერაციაში, რაც თავისთავადი საფრთხე იქნება საქართველოსთვისაც. ერთიანი საქართველო – ძლიერი დასავლელი პარტნიორებით და ერთიანი რუსეთის ფედერაცია დაცული რელიგიური და ნაციონალისტური საფრთხეებისგან, არის ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესში. ეს კონცეფცია შესაძლებელია გახდეს საქართველო-რუსეთის შემდგომი მოლაპარაკებების, ქვეყნის დეოკუპაციის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი.

10. უმცირესობათა უფლებები: რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?

პირადი ცხოვრება ხელშეუვალია, შესაბამისად შეუძლებელია სახელმწიფო ერეოდეს კონკრეტული ადამიანების სექსუალური ორიენტაციის დადგენასა და მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე. თუმცა თუ თანასწორუფლებიანობაში

იგულისხმება ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, როგორცაა ქორწინება და შედეგად ერთსქესიანთა წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანა, ბენებრივია, ეს სრულიად მიუღებელია. პირიქით, შეთავაზებულია საკონსტიტუციო შესწორების პროექტი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო აღიარებს და იცავს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინებას. კონსტიტუციის დღევანდელ რედაქციაში ქორწინების მხარეები არ არის განსაზღვრული და საუბარი მხოლოდ მათ უფლებრივ თანასწორობას ეხება. შესაბამისად, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სამოქალაქო კოდექსი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ნებისმიერ პირს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში აქვს გამარჯვების მაღალი შანსი. ასე რომ, საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება შეიძლება დაკანონდეს არა რომელიმე საკანონმდებლო აქტის მიღებით, არამედ არსებული ნორმის ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებით. შემოთავაზებული რედაქცია კი იმეორებს იმ საკონსტიტუციო ნორმის რედაქციას, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიტვის, ლატვიისა და უნგრეთის კონსტიტუციებშია დაფიქსირებული.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა დაარსების დღიდან მხარს უჭერს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას. პარტიაში ფუნქციონირებს ქალთა ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანი პოლიტიკაში მეტი ქალის ჩართვაა. ორგანიზაცია ზრუნავს ახალი კანდიდატების, აქტივისტების, რიგითი წევრების მოზიდვაზე, ქალი ლიდერების აღზრდასა და წარმოჩენაზე; ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ტრენინგებს, სემინარებს და დისკუსიებს ქალებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე; ხელს უწყობს ქალების დაწინაურებას პარტიაში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მხარდაჭერა აუცილებელია საკანონმდებლო დონეზეც. ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ ისარგებლა წახალისების იმ მექანიზმით, რომელიც ჩაიდო კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიული სიის დაკომპლექტებისას ყოველ ათ კანდიდატში 20% ქალი წარადგინა. პარტია მხარს უჭერს ამ ნიშნულის 30% გაზრდას და სხვა მსგავსი ინიციატივების განხორციელებას.

12. უმცირესობათა უფლებები: *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

უმცირესობათა მთავარი პრობლემა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის არის სახელმწიფო ენის არცოდნა. ამიტომაც, სახელმწიფო გაასამშავებს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დაფინანსებას. ამასთან სახელმწიფო დააფინანსებს ტრადიციულად ჩამოყალიბებული უმცირესობებისთვის ნაციონალურ ენებზე ბეჭდვითი

გამოცემების ხელმისაწვდომობას, კულტურული კერების, სასწავლო და რელიგიური დაწესებულებების მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტებიდან სუბსიდირებას.

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

25 წლის შემდეგ დიდი ჰესების მშენებლობის საკითხი კვლავ აქტუალურია საქართველოში. საბჭოთა პერიოდის დროს დაპროექტებული ჰიდროელექტროსადგურების თემა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გაიხსენეს. საბჭოთა პერიოდშიც კი ქართულმა საზოგადოებამ მოახერხა ამ პროცესის შეჩერება. ხუდონჰესისა და ნამახვანჰესის მშენებლობა ფუნდამენტურად შეცვლიდა და შეცვლის რამოდენიმე ტრადიციული, ისტორიული ხეობის მიკროკლიმატს და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მოუწევს მამა-პაპათა კერიის მიტოვება. ზოგადად, გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამართლება ყოველთვის რთულია. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც აშენებული ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ენერჯიას არანაირი დადებითი შედეგი არ ექნება შიდა ბაზარზე ტარიფების გაიაფებასთან. 2009 წლის კანონით ახლადაშენებული ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია გათავისუფლებული სახელმწიფო რეგულაციისგან და არ ექვემდებარება მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ ტარიფებს. დერეგულირებული ფასი კი არ იქნება იმპორტზე ან თბოელექტროსადგურებით მიღებული ელექტროენერჯიის საფასურზე დაბალი და მხოლოდ ქვეყნის გარეთა ბაზრებზე გაყიდვისთვის არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, ამ ელექტროსადგურებს არ ექნებათ ის სოციალური და ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც მოსახლეობის ნაწილი ტარიფების შემცირებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უკავშირებს. შესაბამისად ჩვენი შეთავაზება მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა სახელმწიფო ინვესტიციით, რაც დაიცავს გარემოს და განავითარებს საქართველოს ეკონომიკას.

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/ გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

პრეზიდენტის უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს საქართველოს უსაფრთხო, დემოკრატიულ და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა. საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საგარეო პრიორიტეტი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციაა. აქედან გამომდინარე, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით ნატო არის ერთადერთი ალიანსი, რომლისკენაც საქართველო ისწრაფვის. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ინდივიდუალური

პარტნიორობისა და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება სტრატეგიულ პარტნიორობებთან, სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტებში. საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობად მიგვაჩნია ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები, განსაკუთრებით, გაერთიანებული სამეფო, და ე.წ. აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები, როგორებიცაა პოლონეთი, ჩეხეთი და ბალტიის ზღვის აუზის ქვეყნები.

მეორეს მხრივ, საქართველო გააქტიურებს ურთიერთობებს ისეთ მსხვილ აზიურ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძალებთან, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია. ეს არის ბაზარი, რომელიც უტოლდება მსოფლიოს ნახევარს და ამავდროულად ძალიან სერიოზულ საინვესტიციო ძალას წარმოადგენს.

იმისთვის, რომ ბოლომდე მოხდეს საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის ენერგო სატრანზიტო დერეფნის რეალიზაცია, ჩვენმა ქვეყანამ განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობები უნდა განავითაროს შუა აზიის რესპუბლიკებთან და შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა ირანთან.

რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულფასოვნად აღდგენა და ურთიერთობის ნორმალიზება კვლავაც იქნება პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი. თუმცა ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს სტრატეგიული ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის შელახვის ან დასავლურ ორიენტაციაზე უარის თქმის ხარჯზე. ამავე დროს ფრთხილი მიდგომაა საჭირო, იმისთვის, რომ არ განვითარდეს საქართველოს რუსულ ბაზარზე და ენერგეტიკულ სექტორზე ზედმეტი დამოკიდებულება, რაც მოსკოვს ჩვენს ქვეყანაზე ზეგავლენის დამატებით ბერკეტებს მისცემს. საჭიროა გამოიკვეთოს ორი ქვეყნის საერთო ინტერესები და გაგრძელდეს და გააქტიურდეს დიალოგი საერთაშორისო ფორმატებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული დაცვით.

15. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

საქართველო ყოველთვის ასრულებდა კავკასიის ცენტრისა და ლიდერის ფუნქციას და მომავალშიც უნდა მოხდეს ამ როლის სრული რეალიზაცია. საქართველოს თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობები აქვს როგორც სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ასევე თურქეთთან. ერთიანი კავკასია, როგორც სახელმწიფო უტოპიური იდეაა, თუმცა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა უმეტესობას აქვს საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები. საქართველო უნდა გახდეს კავკასიის გამაერთიანებელი ეკონომიკურ ასპექტში, სტაბილურობის გარანტი რეგიონში და ამავე დროს შეასრულოს დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია კავკასიასა და ევროკავშირის შორის.

რაც შეეხება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატებს, საქართველომ ძალიან აქტიურად უნდა გამოიყენოს უკვე არსებული ფორმატები. ისეთები, როგორიცაა სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია სუამ-ი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს

სუამ-ის ეკონომიკურ, სავაჭრო და ენერგეტიკულ ასპექტებს. ასევე მნიშვნელოვანია აქტიურობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის BSEC-ის მიმართულებითაც, რომელიც საქართველოს შეუძლია გამოიყენოს, როგორც კიდევ ერთი საერთაშორისო ფორმატი რუსეთთან დიალოგისთვის ეკონომიკურ ასპექტში.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

უსაფრთხოების ამოცანების შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შეიარაღებული ძალები. საქართველოს ესაჭიროება მცირერიცხოვანი, კარგად გაწვრთნილი და მობილური ჯარი, რომელიც შეძლებს ქვეყნის სუვერენიტეტის ეფექტიან დაცვას და საერთაშორისო მისიებში აქტიურ მონაწილეობას. ამისათვის:

- უნდა შემცირდეს თავდაცვის ბიუჯეტი;
- უნდა გაუქმდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა და ჯარი მთლიანად გადავიდეს საკონტრაქტო სამსახურზე;
- 3-ჯერ უნდა შემცირდეს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა. ასევე შემცირდეს შეიარაღებისა და აღჭურვილობის ხარჯები, რისი ნაწილიც მოხმარდება ოფიცერთა კორპუსის ნატო-ს სტანდარტებით განათლებასა და სამხედრო ელიტის ჩამოყალიბებას. საქართველოს ეყოლება კარგად გაწვრთნილი შეიარაღებული არმია 10 000 კაცის ოდენობით, რომელიც მზად იქნება საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ქვეყნის ტერიტორიაზე, იმავდროულად რამდენიმე ქვედანაყოფი განახორციელებს როტაციას საერთაშორისო მისიებში. რეზერვი განისაზღვრება 10 000 კაცის ოდენობით 2016 წლამდე, რის შემდეგაც რეზერვის რიცხოვნობა თანდათან გაიზრდება.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

დღეს ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი გამოწვევაა ტერიტორიული მთლიანობა და ოკუპირებული ტერიტორიები. შესაბამისად, უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები, რომელიც გულისხმობს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას უნდა პასუხობდეს ამ პრობლემის მოგვარების შესაძლებლობის გაჩენას. ქრისტიან-დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ ქვეყნის დეოკუპაცია უნდა წარიმართოს მოლაპარაკების მაგიდასთან, სადაც რუსეთთან დიალოგი შეეხება არა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს, არამედ გლობალურ საფრთხეებს, რომლის წინაშეც უახლოესი ათწლეულის განმავლობაში იქნება თავად რუსეთი. კავკასიაში ნიციონალიზმის, აგრესიული სეპარატიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის არსებობა ძირს უთხრის რუსეთის სახელმწიფოს საფუძვლებს. ამიტომაც, 12 წლის წინ პანკისის ხეობის პრობლემის მოგვარების პრინციპები შეიძლება გამოყენებული იქნას კავკასიაში დასავლეთის, საქართველოსა და რუსეთის კოოპერაციის საფუძვლად, მით

უფრო, მსგავსი თანამშრომლობა ნატოსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს ავღანეთის საკითხის გარშემო.

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: *თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?*

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრებისთვის, როგორც ტრადიციული ღირებულებების ერთგული, მორწმუნე ადამიანებისთვის, აბორტი ცოდვას. სამედიცინო ჩვენების გარეშე ნაყოფის სიცოცხლის ხელყოფა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე დაუშვებელია. ქრისტიან-დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო დაბადებამდეც აქტიურად უნდა იცავდეს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს და უფლებებს და ამისთვის პირველ რიგში საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება, ახალგაზრდა ოჯახებთან, მომავალ მშობლებთან ინტენსიური მუშაობაა საჭირო. ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემებიდან გამომდინარე აბორტის საწინააღმდეგო კამპანია ეროვნული მნიშვნელობის საქმედ გვესახება. ქვეყნის დემოგრაფიული განვითარებისთვის საფრთხეს წარმოადგენს ე.წ. შერჩევითი აბორტები, ანუ სქესის დადგენის შემდეგ არასასურველი სქესის მქონე ნაყოფის სიცოცხლის შეწყვეტა. აბორტების საერთო რიცხვიდან მსგავსი აბორტების ოდენობა თითქმის ნახევარს აღწევს. საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს მსგავსი აბორტების განხორციელება.

19. გადასახადები და კრედიტი: *უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?*

თუკი კრედიტების გაცემის დროს იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზების უფლება აღარ იარსებებს, მაშინ კრედიტების გაცემა რეალურად შეწყდება და უძრავი ქონების ბაზარზე კატასტროფა გარდაუვალია: გაჩერდება მშენებლობა, შეწყდება უძრავი ქონების რეალიზება.

თავის მხრივ ჩვენ ვთავაზობთ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ მიდგომას, რომლიც დაიცავს როგორც მევალეების ასევე საბანკო სექტორის ინტერესებს.

კერძოდ პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი რომლის თანახმად:

- სახელმწიფო ბანკებისგან გამოისყიდის მევალეების ქონებას, იქნება ეს საბიუჯეტო თანხებით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით თუ სახელმწიფო ქონებაში წილის დათმობით, აქციების სახით.
- სახელმწიფოსა და მევალეებს შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის თანახმად მევალეებს ექნებათ ქონებით მუდმივი სარგებლობის, მაგრამ არა გასხვისების უფლება.
- მევალეებს ექნებათ უფლება თანდათან გამოისყიდონ ქონება და აღიდგინონ მათზე საკუთრების უფლება. გამოსყიდვის პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება მევალის ფინანსურ შესაძლებლობაზე.

- ამ კანონით ისარგებლებენ ის მევალეები, რომელთაც პრობლემა შეექმნათ ობიექტური მიზეზების გამო“

რაც შეეხება უკვე არსებული პრობლემური სესხების საკითხს, ცალკე უნდა გამოიყოს ბიზნეს სესხების პრობლემა, რადგანაც ამ კრედიტების დიდი ნაწილი ალებულ იქნა სტაბილური გარემოს გათვალისწინებითა და მოლოდინით, თუმცა 2008 წლის ომმა და გლობალურმა კრიზისმა ამ სუბიექტებს შეუქმნა პრობლემები და მათ კრედიტების გადახდისუნარიანობა დაკარგეს. მაგალითისთვის საკმარისია გავისენოთ ქობულეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის პრობლემა 2008 წლის ტურისტული სეზონის ჩავარდნის გამო. ამ კატეგორიის პრობლემური სესხებზე მუშაობა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, რადგანაც პრობლემის მოუგვარებლობის შედეგად ზარალდებიან როგორც საქართველოს მოქალაქეები (კარგავენ ქონება), ასევე საფინანსო ორგანიზაციები (ამ ოდენობის უძრავი ქონების გამოტანა ბაზარზე იმდენად დააგდებს ამ ქონებაზე ფასებს, რომ რეალურად გაჭირდება გაცემული სესხების ამოღება). აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა იაფიანი საფინანსო რესურსი მოსაძებნად და ვალების გადასაფარად.

20. მიწის საკუთრება: როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

სასოფლო-სამეურნეო მიწა არის საკუთრების განსაკუთრებული ობიექტი, მისი მხოლოდ მცირე რესურსი არსებობს და ის სხვა ღირებულებით შეუცვლელია. 21-ე საუკუნეში მსოფლიოში მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება სურსათზე მოთხოვნაც. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არის საჯარო ინტერესი. ამიტომაც ქვეყნების ნაწილში სახელმწიფო ზღუდავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ამ სიკეთით სარგებლობის უფლებას.

საქართველოში ეს პრობლემა აქტუალური გახდა 2012 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. 2012 წლის 26 ივნისამდე კანონის შესაბამისად უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეკრძალებოდათ საქართველოში სასოფლო სამეურნეო მიწის შეძენა, ხოლო მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში კი მას ეს მიწა 6 თვის განმავლობაში უნდა გაესხვისებინა საქართველოს მოქალაქეზე. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ეს ბლანკეტური (სრული) აკრძალვა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან იმ იურიდიული პირებისთვის, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან საქართველოს მოქალაქეები, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაზე უნდა შეიზღუდოს საკუთრების უფლება. ამისთვის საჭიროა დადგინდეს:

- რა ფართის ნაკვეთს შეიძლება ფლობდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოში;
- საერთო ფართობების რა ნაწილი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში;
- ქვეყნის ის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტერესები, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს მესაკუთრე სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენებისას.

თუმცა აღნიშნულის განსაზღვრამდე აუცილებლად მიგვჩნია საკუთრების უფლებაზე მორატორიუმის გამოცხადება.